USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

SWEDEN

UNDP Empowered lives. Resilient nations.

SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS
17 GOALS TO TRANSFORM OUR WORLD

მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) - 17 გლობალური მიზანი მსოფლიოს შესაცვლელად!

პრეს-რელიზი
საინფორმაციო სესია: მდგრადი განვითარების მიზნები და საქართველო

2 მაისს, 17:00 – 19:00 საათზე, რესტორანის „ლოლიტა“ საკონფერენციო დარბაზში (ჭოველიძის 7, მე-3 სართული, თბილისი) გაიმართება საინფორმაციო შეხვედრა „მდგრადი განვითარების მიზნები და საქართველო“. შეხვედრის ორგანიზატორია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან და გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით და შვედეთის მთავრობისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ხელშეწყობით.

საინფორმაციო შეხვედრას დაესწრებიან მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით გამოცხადებულ ორ კონკურსში - ვიზუალიზაციისა და სტუდენტური ესეების კონკურსებში მონაწილეობის მსურველები.

შეხვედრას გახსნის საბა ბუაძე, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენელი.

შომბი შარპი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოქმედი ხელმძღვანელი საქართველოში, და ნინო სარიშვილი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახურის უფროსი, ისაუბრებენ მდგრადი განვითარების მიზნების საერთაშორისო და ეროვნულ მნიშვნელობაზე და საქართველოს როლზე ამ გლობალური დღის წესრიგის განხორციელებაში.

მერი მახარაშვილი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, მოუყვება შეხვედრის მონაწილეებს კონკურსების პირობებისა და წარდგენილი ნამუშევრების შეფასების კრიტერიუმების შესახებ.

ჟურნალისტებს ვიწვევთ დასასწრებად.

საკონტაქტო ინფორმაცია:

- მერი მახარაშვილი, IDFI, +995 599 500137, m.makharashvili@idfi.ge
- სოფო ჭიჭინაძე, UNDP საქართველო +995 599 196907, sophie.tchitchinadze@undp.org

SDG კონკურსები: ვიზუალიზაციისა და სტუდენტური ესეების კონკურსები გამოცხადდა 2017 წლის აპრილში. მათი მიზანია ინფორმაციის გავრცელება მდგრადი განვითარების მიზნებისა (SDGs) და საქართველოსთვის მათი მნიშვნელობის შესახებ.

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION
IDFI

2017 წლის 21 მაისამდე კონკურსის მონაწილეებმა უნდა წარადგინონ ნამუშევრები შემდეგ ოთხ კატეგორიაში: ესე, ფოტო, პოსტერი და გრაფიტის ესკიზი. თითოეული ნამუშევარი უნდა ასახავდეს მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მიზანს. მონაწილეებს შეუძლიათ, წარადგინონ რამდენიმე ნამუშევარი სხვადასხვა მიზნებზე.

გამარჯვებულების გამოცხადება შედგება 2017 წლის ოქტომბერში, მდგრადი განვითარების მიზნების საერთაშორისო ფორუმზე. თითოეული გამარჯვებული მიიღებს 1000 ლარიან სასაჩუქრე ბარათს. 20 საუკეთესო გრაფიკული ნამუშევარი და 10 საუკეთესო ესე განთავსდება კონკურსების ორგანიზატორთა სოციალურ მედიაში. გრაფიტის საუკეთესო ესკიზის ავტორს შესაძლებლობა ექნება, გადაიტანოს თავისი ნამუშევარი სპეციალურად გამოყოფილ კედელზე თბილისში.

დამატებითი ინფორმაცია კონკურსების შესახებ იხილეთ IDFI-ის ვებგვერდზე:

- ვიზუალიზაციის კონკურსი: http://bit.ly/2nzxIB4
- სტუდენტური ესეების კონკურსი: http://bit.ly/2ouq1vi